

საჭმლის მომწელებელი სისტემის მწვავე, ქირურგიული, სიმსივნური და მეორადი დაავადებები.

1. რომელი მოსაზრება არ მიგაჩნიათ სწორად საყლაპავის სრული გაუვალბის შესახებ?

- ა) პრიორიტეტული გამოკვლევაა გადაუღებელი ენლოსკოპია;
- ბ) თუ ღიაგნოში ცნობილია რენტგენოკონტრასტული გამოკვლევა ბარიუმით არ კეთდება ასპირაციის რისკის გამო;
- *გ) უცხო სხეულის ამოღება საყლაპავიდან მარტივი ღონისძიებაა და ის გადაუღებლად უნდა განახორციელოს ნებისმიერი გამოცდილების ენლოსკოპისგამ;
- დ) თანდართული ეზოფაგიტის სამკურნალოდ გამოიყენება პროტონული პომპის ინჰიბიტორები;
- ე) საყლაპავის სტრიქტურის მქონე პირები უნდა მოერიდონ ბოჭკოვან საკვებს და საჭმელს დააყოლონ გაზირებული სასმელი.

2. რომელი მოსაზრება არ მიგაჩნიათ სწორად საყლაპავის პერფორაციის შესახებ?

- ა) სპონტანური პერფორაცია უფრო იშვიათია, ვიდრე ინსტრუმენტული გამოკვლევებითა და გრაემებით გამოწვეული;
- ბ) ბურხავეს სინდრომი გულსხმობის საყლაპავის კედლის გასწვრივ გახლეჩვას მის ქვედა ნაწილში;
- გ) დაავადების სიმპტომებია: ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის დარღვევა, ოდინოფაგია, კანქვეშა ემფიზემა;
- დ) დიფერენცირება საჭიროა მიოკარდიუმის ინფარქტთან, განშრევაბლ ანევრიზმთან, პეპტიური წყლულის პერფორაციასთან, მწვავე პანკრეატიტთან, სპონტანურ პნეუმოთორაქსთან;
- *ე) მკურნალობის ძირითადი მეთოდია ნაზოგასტრალური ინტუბაცია.

3. რომელი მოსაზრება არ მიგაჩნიათ სწორად საყლაპავის ქიმიური დამიანების შესახებ?

- *ა) საყლაპავისა და კუჭის დამიანების სიმძიმეზე შეიძლება ვიმჯვლოთ ხახის დამიანების ხარისხის მიხედვით;
- ბ) სტრილორული სუნთქვა მიანიშნებს ხახისა და ხორხის დამიანებზე;
- გ) დისფაგია და სისხლიანი ლებინება საყლაპავის შეშუპებისა და დაწყლულების ნიშნებია;
- დ) სუნთქვითი დისტრესი და შოკი ვითარდება საყლაპავის ნეკროზით გამოწვეული მედიასტინიტის შემთხვევაში;
- ე) არ არის საჭირო დამამიანებელი ნივთიერებების (ტუტე, მკავა) გამაჩეიგრალებლების მიღება.

4. რომელი მოსაზრება არ მიგაჩნიათ სწორად მელორი-ვისის სინდრომის შესახებ?

- ა) ამონაღებინები პირველი პორციები სისხლს არ შეიცავენ;
- ბ) ლებინების უხშირესი მიზეზია ალკოჰოლის მიღება;
- გ) 90 % შემთხვევებში სისხლდენის შეჩერება ხერხდება კონსერვატული ღონისძიებებით;
- *დ) სასწრაფოდ უნდა დაეწყოს მკურნალობა კუჭში სიმკვების სეკრეციის დათრგუნვის მიზნით;
- ე) ოპერაციული მკურნალობის აუცილებლობა უკიდურესად იშვიათია.

5. რომელი მოსაზრება არ მიგაჩნიათ სწორად მწვევე გასტრიტის შესახებ?

- ა) შეიძლება იყოს მძიმე დაავადებაზე განვითარებული სტრესული რეაქციის გამოვლინება;
- ბ) დაახლოებით 1/3 შემთხვევებში მიმდინარეობს უსიმპტომით;
- გ) დამახასიათებელი სიმპტომებია: ტკივილი ეპიგასტრიუმის მიდამოში, გულისრევა, პირღებინება, ბოყინი, უსიამოვნო გემო პირში, ამორწყევა;
- *დ) სტრესული გასტრიტების დროს მიმანშეწონილი არ არის ანტაცილების დანიშვნა;
- ე) ფლეგმონოზური გასტრიტის დროს საჭიროა მასიური ანტიბიოტიკოთერაპია და ქირურგიული ჩარევა.

6. მწვავე გასტრიტისთვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ტკივილი ეპიგასტრიუმში;
- *ბ) სეზონური ტკივილი;
- გ) ლებინება;
- დ) ტაქიკარდია;
- ე) ტემპერატურის მომაგება.

7. წყლულის პენეტრაციის დამამტკიცებელი ნიშნებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა

- *ა) ღამის ტკივილების აღმოცენების;
- ბ) ანტაცილებზე საპასუხო რეაქციის შემცირების;
- გ) ზურგში ტკივილების გაჩენის;
- დ) ტკივილების გაძლიერების;
- ე) წყლულისთვის დამახასიათებელი ტკივილების, რითმის შეცვლის.

8. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ნაზო-გასტრალური ინტუბაციის ჩვენება?

- ა) კუჭის ლეკომპრესია მისი ატონიის დროს;
- ბ) ტოქსიური ნივთიერებების კუჭიდან ევაკუაცია;
- *გ) კუჭიდან სისხლდენის შეჩერება;
- დ) კუჭის წვენის ნიმუშის მიღება გამოკვლევისთვის;
- ე) მონღით მკურნალობის აუცილებლობა.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ნაზო-გასტრალური ინტუბაციის უკუჩვენება?

- ა) ყბა-სახის გრაფმა;
- ბ) საყლაპავის ობსტრუქცია;
- გ) საყლაპავის ვენების გამოხატული გაგანხიერება;
- *დ) ღიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქარი;
- ე) სისხლის შეღებების არაკორექტირებადი დარღვევები.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ნაზო-გასტრალური ინტუბაციის გართულება?

- ა) ცხვირ-ნახის ტრაქეომირება;
- ბ) ასპირაცია ფილგეებში;
- გ) კუჭის პერფორაცია;
- დ) მონდის შეჭრა შუასაყარში;
- *ე) მალაბსორბცია.

11. ორალური რეჰიდრატაციის დროს ხმარობენ ძირითადად

- ა) ფიზიოლოგიურ ხსნარს;
- ბ) გლუკოზის 10%-ან ხსნარს;
- გ) გლუკოზის 5%-ან ხსნარს;
- *დ) რეჰიდრონს;
- ე) რინგერის ხსნარს.

12. ინტრავენური რეჰიდრატაციის დროს ხმარობენ

- ა) რეოპოლიგლუკინს;
- ბ) ტრისოლს;
- გ) ფიზიოლოგიურ ხსნარს;
- დ) NaCl-ის ჰიპერტონულ ხსნარს;
- *ე) ყველა ჩამოთვლილს.

13. რა მოვლენები შეიძლება გახდეს ორგანიზმში წყლისა და ელექტროლიტების დეფიციტის მიზეზი?

- ა) დიარეა;
- ბ) მრავალჯერადი ღებინება;
- გ) ჭარბი ოფლიანობა;
- დ) პოლიურია;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

14. ნაწლავის პარალიზური გაუვალობის მიზეზი შეიძლება იყოს

- ა) ოპერაცია;
- ბ) პანკრეატიტი;
- გ) შარდსაწვეთის ობსტრუქცია;
- დ) ღიაბეჭური კეტოაცილოზი;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

15. ნაწლავის პარალიზური გაუვალობის მიზეზი შეიძლება იყოს

- ა) ანტიქოლინერგული საშუალებების მიღება;
- ბ) ოპოიდების მიღება;
- გ) თირკმლების მწვავე უკმარისობა;
- დ) ნაწლავის ინფარქტი;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

16. ნაწლავის პარალიზური გაუვალობის სამკურნალოდ არ გამოიყენება

- ა) პროკინეტიკები;
- ბ) ინტრავენური ჰიდრატაცია;
- გ) ნაზო-გასტრალური ასპირაცია;
- დ) პარენტერალური კვება;
- *ე) ქირურგიული ჩარევა.

17. ღვიძლის მწვავე უკმარისობას არ ახასიათებს

- ა) ენცეფალოპათია;
- ბ) პროტრომბინის დროს გახანგრძლივება;
- *გ) სპლენომეგალია;
- დ) სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი;
- ე) იქტერუსი.

18. ღვიძლის ფულმანენტური უკმარისობის უხშირესი მიზეზია

- *ა) ვირუსული ჰეპატიტი B და D;
- ბ) ვირუსული ჰეპატიტი A;
- გ) ბაღ-კიარის სინდრომი;
- დ) ვილსონის დაავადება;
- ე) ღვიძლის ცხიმოვანი ლისტროფია.

19. ღვიძლის მწვავე უკმარისობის დროს არ გამოიყენება

- ა) ალექვატური ჰიდრატაცია;
- ბ) ლაქტულოზა;
- გ) გლუკოზის ინტრავენური ინფუზია;
- დ) მანიტოლის გაღასხმა;

*ე) მარილოვანი ხსნარების ინგრავენური ინფუზია.

20. ღვიძლის მწვავე უკმარისობის შესახებ ყველა მოსაზრება ჭეშმარიტია, გარდა:

- ა) თირკმლების უკმარისობა ვითარდება დაახლოებით 50%-ში;
- ბ) ჰიპოგლიკემია ღვიძლის მწვავე უკმარისობის მძიმე ფორმის ჩვეულებრივი გართულებაა;
- გ) ხანგრძლივდება პროთრომბინის და ნაწილობრივი თრომბოპლასტინის დრო;
- *დ) ტრანსმინაზების განსაზღვრას გაღამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაავადების სიმძიმის განსაზღვრისთვის;
- ე) გარდაცვილ ავადმყოფთა 80%-ის სიკვდილის მიზეზი ტვინის შეშუპებაა.

21. მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობა შეიძლება განვითარდეს, როგორც გართულება: 1) ათეოროსკლეროზის; 2) ჰიპერტონული დაავადების; 3) რეუმატიზმის; 4) ღვიძლის ციროზის; 5) სპლენომეგალიის

- *ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 3,4,5;
- ე) 2,4,5.

22. მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის განვითარების პროცესში გამოყოფენ სტადიებს 1) სისხლსაგეობის (სისხლჭარბობის); 2) გაუვალბობის; 3) იშემიის; 4) ინფაქტის; 5) პერიტონიგის.

- ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- *დ) 3,4,5;
- ე) 2,4,5.

23. მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობისას ინფარქტის სტადიისათვის დამახასიათებელია: 1) მუცელის ტკივილის ინტენსივობის შემცირება; 2) ტაქიკარდია; 3) მონდორის სიმპტომი; 4) მუცლის შეხერხობა; 5) მუცლის კელის დაჭიმულობა.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 3,4,5;
- ე) 2,4,5.

24. მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის დროს ოპერაციული ჩარევის მიზანია 1) ბრძოლა შოკთან; 2) ბრძოლა ინტოქსიკაციასთან; 3) ბრძოლა პერიტონიგთან; 4) მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის კორექცია; 5) ნაწლავის დესტრუქციული უზუნების მოკვეთა (რეზექცია).

- ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 3,4,5;
- *ე) 4,5.

25. მეზენჯერული სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ძირითადი მიზეზებია: 1) ემბოლია; 2) არტერიის თრომბოზი; 3) ვენის თრომბოზი; 4) სიმსივნური ბეწოლა (ჩაბრლა) სისხლძარღვებზე; 5) სისხლის მიმოქცევის დარღვევები.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 3,4,5
- ე) 2,4,5

26. ხანდამუელი ასაკის პაციენტებში აპენდიციგისათვის დამახასიათებელია: 1) უმნიშვნელო მუცელის ტკივილი; 2) სხეულის ტემპერატურა ხშირად ნორმალური; 3) მუცლის კელის კუნთების დაჭიმულობა გამოხატულია სუსტად ან არ აღინიშნება; 4) ჭიანწლავში დესტრუქციული ცვლილებები ვითარდება სწრაფად; 5) ზომიერი ლეიკოციტოზი.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 3,4,5
- ე) 2,4,5

27. სუბდიაფრაგმული აბსცესის რენტგენოლოგიური ნიშნებია: 1) დიაფრაგმის თალის მაღალი მდებარეობა; 2) დიაფრაგმის თალის მოძრაობის შემღუღვა; 3) ღვიძლის ჩრდილის მოჩვენებითი გადიდება; 4) სითხის დონის არსებობა ღვიძლის ზემოთ; 5) მარჯვნივ პლევრის დრუში სითხის არსებობა.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 3,4,5
- ე) 2,4,5

28. თიაქრის ხერელში ჩაჭედვას უფრო ხშირად ექვემდებარება

- ა) დიდი ბაღექონი;
- ბ) მსხვილი ნაწლავი;
- *გ) წერილი ნაწლავი;
- დ) შარდის ბუშტი;
- ე) საშვილისნო და მისი ღანაზაგები.

29. ჩაჭედილი ნაწლავის მარყუქის ნეკროზი იწეება

- *ა) ლორწოვანი გარსიდან;
- ბ) ლორწუჭევეზა გარსიდან;
- გ) კუნთოვანი გარსიდან;
- დ) სეროზული გარსიდან.

30. თიაქრის პარკში ნაწლავის ჩაჭედვის აღრეულ ნიშნებს მიეკუთვნება: 1) მწვავე ტკივილი; 2) თიაქრის ჩაუსწორებლობა; 3) თიაქრის მიდამოში არსებული გამობერილობის ღაჭიმვა; 4) ხველითი ბიძგის გადაცემის გაჭრობა; 5) თიაქრის წარმონაქმნზე პერკუტორული ხმიანობის შემოკლება.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

31. ნაწლავთა მწვავე გაუვალბობის საწყისი ფაზისთვის ღამახასიათებელია: 1) მტკივნეულობა მუცლის პალპაციის დროს; 2) დეფეკაციისა და გაზებზე გასვლის შეფერხება; 3) მუცლის შებერილობა; 4) გულისრევა, ღებინება; 5) მალალი გემპერაგურა

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

32. ნაწლავთა მწვავე გაუვალბობისათვის, კუჭის და 12_გოჯა ნაწლავის პერფორირებული წყლულისგან განსხვავებით, ღამახასიათებელია: 1) სხეულის ნორმალური გემპერაგურა; 2) დეფეკაციისა და გაზებზე გასვლის შეფერხება; 3) რბილი, ნაკლებად მტკივნეული მუცელი; 4) ღებინება, რომელსაც არ მოაქვს შეება; 5) აუსკულტაციით მრავლობითი ხმაური მუცლის დრუში.

- ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- *დ) 3,4,5;
- ე) 2,4,5.

33. ნაწლავთა მწვავე გაუვალბობისათვის, მწვავე ქოლცისტიტისგან განსხვავებით ღამახასიათებელია: 1) შეტევითი ხასიათის ტკივილი; 2) ტკივილი ირაღიაციის გარეშე; 3) რბილი, ნაკლებად მტკივნეული მუცელი; 4) მუცლის შებერილობა; 5) ჩირქოვანი და სეპტიური გართულებები.

- ა) 1,2,3,4,5
- *ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 2,3,4,5
- ე) 2,4,5

34. სიგმოიდური ნაწლავის შემოგრეხვა კლინიკურად ხასიათდება: 1) მკვეთრი, შეტევითი ხასიათის ტკივილით მუცელში; 2) გულისრევით, რებინებით; 3) დეფეკაციისა და გაზებზე გასვლის შეფერხებით; 4) მუცლის არათანაზბარი შებერილობით; 5) "ობუხოვის საავადმყოფოს" ღაღებითი სიმპტომით.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 2,3,4,5
- ე) 2,4,5

35. სტრანგულაციური გაუვალბობა ყველაზე ხშირია:

- ა) განივი კოლონჯის;
- *ბ) წერილი და სიგმოიდური ნაწლავების;
- გ) სწორი ნაწლავის;
- დ) წერილი ნაწლავის მარყუქებიდან;
- ე) წერილი ნაწლავის და დიდი ბაღექონისაგან.

36. გაუვალბობის ყველაზე ხშირი ფორმა არის

- ა) ინვაგინაცია;
- ბ) შემოგრეხვა;
- *გ) შეხორცებითი გაუვალბობა;

- დ) გადახლართული ნაწლავის მარყუქების კვანძების წარმოქმნა;
- ე) ხიმსივით ობტურაცია.

37. ნაწლავთა გაუვალობის დროს შიდაწლავური ობსტრუქციის ყველაზე ხშირი ლოკალიზაციაა

- ა) 12_გოჯა ნაწლავი;
- *ბ) მღივი ნაწლავი;
- გ) თემოს ნაწლავი;
- დ) სიგმოიდური ნაწლავი;
- ე) ანუსის და რექტუმის შეერთების ადგილი.

38. მეორადი პერიტონიგის ვითარლება მუცლის დრუში მიკროფლორის მოხვედრით: 1) მუცლის დრუს ორგანოთა ანთების შედეგად; 2) მუცლის დრუში შემავალი ჭრილობების შედეგად; 3) ოპერაციის შედეგად; 4) დრუ ორგანოების პერფორაციის შედეგად; 5) საშვილოსნოს მიღების გზით.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

39. პერიტონიგის განვითარება შეიძლება მოყვეს მუცლის დრუში: 1) სისხლის ჩაღვრას; 2) ნაღვლის ჩაღვრას; 3) ხილოზური სითხის ჩაღვრას; 4) შარდის ჩაღვრას; 5) მეკონიუმის ჩაღვრას.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) 1,2,3
- დ) 2,3,4,5
- ე) 2,4,5

40. პერიტონიგის რეაქტიული ფაზისთვის დამახასიათებელია: 1) მუცელში მუღმივი ხასიათის მკვეთრი ტკივილი, რომელიც ძლიერდება მოძრაობისა და ხველების დროს; 2) ავადმყოფის იძულებითი წოლითი მდებარეობა ზურგზე ან გვერდზე მოხრილი და მუცელზე მიკრული ფეხებით; 3) პირღებინება, რომელიც არ უმსუბუქებს მდგომარეობას; 4) ბრადიკარდია; 5) ხშირი შარდვა.

- ა) 1,2,3,4;
- ბ) 1,2;
- *გ) 1,2;
- დ) 2,3,4,5
- ე) 2,4,5

41. პერიტონიგის დროს მუცლის წინა კედლის კუნთების დაჭიმულობა შეიძლება არ იყოს გამოხატული: 1) პროცესის მცირე მენჯში ლოკალიზაციის დროს; 2) პროცესის ბადექონის აბგაში ლოკალიზაციის დროს; 3) ალკოჰოლური სიმთვრალისა და შოკის დროს; 4) მუცლის ტიფის დროს; 5) "ტაბეს დორსალ"-ის დროს.

- *ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

42. პერიტონიგის რეაქტიული ფაზისადმი სწორია შემდეგი დებულება: 1) მუცელი სუნთქვაში მონაწილეობს შეზღუდვით; 2) გამოხატულია დეფანსი; 3) მუცლის პალპაციისას აღინიშნება მტკივნეულობა; 4) ბლუმბერგის სიმპტომი დადებითია; 5) აღინიშნება ლეიკოპენია.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

43. პერიტონიგის გოქსიური ფაზისთვის დამახასიათებელია: 1) მუცლის ტკივილის შემცირება; 2) ნაწლავის პერისტალტიკის ხშირადობის გაქრობა; 3) მუცლის შებერილობა; 4) აირებზე გასვლის და დეფეკაციის შეფერხება; 5) ტაქიკარდია.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

44. პერიტონიგის გოქსიური სტადიისთვის დამახასიათებელია: 1) ჰიპოტონია; 2) ჰიპერტერმია; 3) სუნთქვის გახშირება; 4) პირის დრუში სიმშრალე; 5) პოლიურია.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

45. პერიტონიგის მიმდინარეობის სიმძიმე დამოკიდებულია ყველა ფაქტორებზე, გარდა

*ა) ავადმყოფის სხეულის მასის;

ბ) მიკროფლორის ხასიათის;

გ) ინტოქსიკაციის გამოვლინების ხარისხის;

დ) ჰიპოვოლემიის;

ე) ცილოვანი, ელექტროლიტური ცვლისა და შუაგულ-ტუტოვანი წინასწრობის დარღვევის ხარისხის.

46. მწვავე ქოლერისტიგის განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობებია: 1) ქვები ნაღვლის ბუშტი; 2) ბუშტის სადინარის შევიწროვება; 3) ნაღვლის ბუშტის კედლის სკლეროზი და აგროფია; 4) ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლძარღვების ცვლილებები; 5) ინფექცია.

*ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3;

დ) 2,3,4,5;

ე) 2,4,5.

47. მწვავე ფლეგმონური ქოლერისტიგისათვის დამახასიათებელია: 1) ინგენისური და ხანგრძლივი ტკივილი, ირადიაციით მხარში; 2) გულისრევა და განმეორებადი ლებინება; 3) გემპერაგურის მომაგება 38-39,0°C –მდე; 4) მტკივნეულობა მარჯვენა ფერდქვეშა არეში; 5) გაღიძებული და მტკივნეული ნაღვლის ბუშტი.

*ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3;

დ) 2,3,4,5;

ე) 2,4,5.

48. ფლეგმონური ქოლერისტიგის მიმდინარეობა შეიძლება გართულდეს: 1) ნაღვლის ბუშტის ემპიემით; 2) პერიფეზიკალური ინფილტრაციით; 3) პერიფეზიკალური აბსცესით; 4) ჩირქოვანი პერიტონიგით; 5) ნაღვლის ბუშტის წყალმანკით.

ა) 1,2,3,4,5

*ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

49. მწვავე განგრენული ქოლერისტიგის დროს: 1) ინტოქსიკაცია გამოდის წინა პლანზე; 2) დაავადების ადგილობრივი გამოვლინებები შეიძლება ჩაცხრეს; 3) გულისცემა 120-მდე წთ-ში; 4) გემპერაგურა შეიძლება მკვეთრად დაქვეითდეს და იყოს ნორმალური; 5) შუცელი შეებრილია ნაწლავების პარეზის გამო.

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

50. პერფორაციული ქოლერისტიგის აღრეული პერიოდისათვის დამახასიათებელია: 1) მწვავე ტკივილი და განმეორებითი ლებინება; 2) ცივი ოფლი, აკროციანოზი; 3) კუნთების დაჭიმვა და ბლუმბერგის სიმპტომი მუცლის მარჯვენა ნახევარში; 4) ტაქიკარდია; 5) არტერიული წნევის მომაგება.

ა) 1,2,3,4,5

*ბ) 1,2,3

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

51. ჩირქოვანი ქოლანგიტის კლინიკური სურათისათვის დამახასიათებელია: 1) ღვიძლის კოლიკა; 2) კანის და სკლერების სიყვითლე; 3) შემცივნება; 4) გემპერაგურის მომაგება 38-39,0°C; 5) ღვიძლისა და ელენთის გაღიძება.

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

52. ხანდაზმულ ასაკში მწვავე ქოლერისტიგისთვის დამახასიათებელია: 1) დესტრუქციული ფორმების სიხშირე; 2) ხშირი გართულება პერიტონიგით; 3) გართულების მეტი სიხშირე; 4) აგოპიური მიმდინარეობა; 5) სანაღვლე გზების დაზიანების ნაკლები სიხშირე.

ა) 1,2,3,4,5

*ბ) 1,2,3

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

53. მწვავე ქოლერისტიგის დროს გადაუღებელი ოპერაციის ჩვენებას წარმოადგენს: 1) ყველა შემთხვევა; 2) კონსერვატიული

მკურნალობის უეფექტობა; 3) პერიტონიტით გართულება; 4) იქტერუსი; 5) დაღებითი ფრენიკუს სიმბტომი.

ა) 1,2,3,4,5

*ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3

ე) 2,4,5

54. მწვავე ქოლერისტიკის დროს კონსერვატული მკურნალობა შედგება შემდეგი ღონისძიებების კომპლექსიდან: 1)ლიტოტრიფია; 2) ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გაკეთება; 3) სპაზმოლიტიკური საშუალებების გაკეთება; 4)ხსნარების ინტრავენური ინფუზია; 5) კუჭის გამორეცხვა გულისრევისა და ღებინების შემთხვევაში.

ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

*დ) 3,4,5

ე) 2,4,5

55. ორგანოთა და სისტემათა დაზიანება მწვავე პანკრეატიტის დროს ხასიათდება: 1) სველი პლევრიტით; 2) ჰიპერტრნსამინემიით; 3) ოლიგურიითა და მიკროჰემატურიით; 4) ექსტრასისტოლით; 5) ფსიქომბითა და ლეპრესიით

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

56. პროგრესირებადი პანკრეონეკროზის დროს შეიძლება განვითარდეს: 1) პარაპანკრეასული ინფილტრატი; 2) რეტროპერიტონეული სიერცის ჩირქოვანი ფლემონა; 3) ეროზიული სისხლდენა; 4) ელენთის ვენაზე ზეწოლა და მისი თრომბოზი; 5) პანკრეასის აბსცესი.

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

57. მწვავე პანკრეატიტის სამკურნალო ღონისძიებებში შედის: 1) ტკივილის სინდრომის მოხსნა; 2) ოდის სფინქტერის სპაზმის მოხსნა; 3) სისხლის რეოლოგიური სტაგნის გაუმჯობესება; 4) პროტეაზების ინაქტივაცია; 5) ლეტოქსიკაცია-ჰემოლიტიკა.

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 2,4,5

58. პანკრეატიტი უმეტესად დაზიანებულია: 1) ცენტრალური ვენური წნევის დაქვეითება; 2) მონიტორინგით სისხლის მოცულობის მზარდი დეფიციტი; 3) კოლაპსი; 4) ჰემატოკრიტის პროგრესირებადი დაქვეითება; 5) არტერიული ჰიპერტონია.

ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

*გ) 1,2,3

დ) 2,3,4,5

ე) 1,4,5

59. როდის ვითარდება ღებინება გულისრევის გარეშე, ხოლო ღებინების შემდეგ ავადმყოფი არ გრძნობს შეებას:

ა) მწვავე გასტრიტის;

ბ) პილორუსის სტენოზის;

გ) ნაწლავების გაუვალბობის;

*დ) ცერებრული ინსულტის;

ე) გლიკომიური ინტოქსიკაციის.

60. ძალიან ძლიერი ტკივილი, რომელსაც ავადმყოფები აღარებენ მუცელში "ხანჯლის ჩაცემას" აღინიშნება:

ა) მწვავე ქოლერისტიკის დროს;

ბ) პილორუსის სტენოზის დროს;

გ) ნაღვლკენჭოვანი დაავადების დროს;

დ) პეპტიური წყლულის პენეტრაციის შემთხვევაში;

*ე) პეპტიური წყლულის პერფორაციის შემთხვევაში.

61. საყლაპავის კიბოსწინარე დაავადებებს მიეკუთვნება: 1) ქრონიკული არასპეციფიური ემოფაგგი 2) საყლაპავის პაპილომები; 3) სილეროპენური სინდრომი (პლამერ-ვისნონის); 4) საყლაპავის დამწვრობითი სტრიქტურები; 5) საყლაპავის პოლიპი.

*ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3,4;

დ) 2,3,4,5;

ე) 1,4,5.

62. სიმსივნის საყლაპავის გულმკერდის ნაწილის შუა მესამედში ლოკალიზაციის შემთხვევაში მეტასტაზები წარმოიქმნება: 1) პარაგრაქეალურ ლიმფურ კვანძებში; 2) კარის მიდამოს ლიმფურ კვანძებში; 3) საყლაპავის ქვედა ნაწილში; 4) კვანძებში, რომლებიც განლაგებულია ღიაფრაგმის ქვემოთ კარლის არემი; 5) ფაშის არტერიის და მისი გოტების ლიმფურ კვანძებში.

*ა) 1,2,3,4,5

ბ) 1,2,3,4

გ) 1,2,3,4

დ) 2,3,4,5

ე) 1,4,5

63. საყლაპავის კიბოს შორეული მეტასტაზები ყველაზე ხშირად გვხვდება;

ა) ფილგვებში;

ბ) ძველებში

*გ) ღვიძლში;

დ) კუჭში.

64. საყლაპავის კიბოს ყველაზე ხშირ კლინიკურ გამოვლინებას მიეკუთვნება: 1) დისფაგია; 2) გკივილი; 3) საჭმლის ამორწყევა და ლებინება; 4) გაძლიერებული სალიფაცია; 5) მასიური სისხლდენა სიმსივნის დაშლის გამო.

ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

*გ) 1,2,3;

დ) 2,3,4,5;

ე) 2,4,5.

65. ავადმყოფი საყლაპავის კიბოთი ითვლება ინოპერაბელურად შემდეგ შემთხვევებში: 1) სიმსივნის ჩაზრდისას მეზობელ ორგანოებში; 2) მეორე და მესამე რიგის ლიმფურ კვანძებში მეტასტაზირებისას; 3) ორგანოებში მეტასტაზირებისას; 4) თანმხლები ღიაფრაგმის არსებობისას ლეკომპენსაციის სტადიაში; 5) ღიაფრაგმის მესამე სტადიაში.

ა) 1,4,5;

*ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3;

დ) 2,3,4,5;

ე) 2,4,5.

66. საყლაპავის კიბოს დროს სხივური თერაპია უკუჩვენებად ითვლება: 1) სიმსივნის დაშლა; 2) სისხლდენა სიმსივნიდან; 3) გულ-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე ღიაფრაგმები; 4) ცნს-ის მძიმე ღიაფრაგმები; 5) პარენქიმატოზული ორგანოების მძიმე ღიაფრაგმები.

*ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3;

დ) 2,3,4,5;

ე) 2,4,5.

67. საყლაპავის კიბოს და გულმკერდის ზედა ნაწილის კიბოს დროს კეთდება

ა) საყლაპავის რეზექცია გულმკერდშიდა საყლაპავ-კუჭის ერთმომენტიანი შერთულის დაღებით;

*ბ) სხივური თერაპია;

გ) სიმსივნის რეკანალიზაცია ღიაფრაგმის პროტეგით (ენდოპროტეგირება).

68. კიბოს განვითარების სიხშირით პირველ ადგილზეა საყლაპავის შემდეგი ნაწილი:

ა) გულმკერდის ქვედა;

ბ) გულმკერდის ზედა;

გ) აბლომინალური;

*დ) გულმკერდის შუა;

69. კუჭის კიბოსწინარე ღიაფრაგმებს მიეკუთვნება: 1) ქრონიკული გასტრიტი; 2) კუჭის ქრონიკული წყლული; 3) კუჭის პოლიპი; 4) მენეტრიის ღიაფრაგმა; 5) კუჭის ნაწილობრივი სტრიქტურა.

ა) 2,3,4,5;

*ბ) 1,2,3,4;

გ) 2,3,4;

დ) 1,2,4,5.

70. კუჭის წყლულის მალიგნიზაციის ნიშნებია: 1) გკივილის ხასიათის შეცვლა; 2) კუჭის წვენიში სიმკვავიანობის დაქვეითება; 3) შიპოქრომული ანემია; 4) პროგრესული სიგამხდრე; 5) განავალში მუღმივად ფარული სისხლის არსებობა.

*ა) 1,2,3,4,5;

ბ) 1,2,3,4;

გ) 1,2,3,4,5.

71. კუჭის პოლიპი შეიძლება გართულდეს: 1) სისხლდენით; 2) დაწყლულებით; 3) ინფიცირებით; 4) ჩაჭვლით; 5) მალიგნიზაციით;

*ა) 1,2,3,4,5;

- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3,4,5.

72. კუჭის კიბო ლოკალიზდება უფრო ხშირად

- *ა) ანტრალურ ნაწილში;
- ბ) კუჭის მცირე სიმრუდეზე;
- გ) კარდიალურ ნაწილში;
- დ) კუჭის წინა და უკანა კედლებზე;
- ე) დიდ სიმრუდეზე.

73. კუჭის კიბოს დროს ჰემატოგენური მეტასტაზები უფრო ხშირად გვხვდება

- ა) ძვლებში;
- ბ) თირკმელებში;
- გ) პლევრაში;
- დ) ფილტვებში;
- *ე) ღვიძლში

74. კუჭის კიბოს გართულებებს მიეკუთვნება: 1) სისხლდენა; 2) სიმსივნის პერფორაცია; 3) სიმსივნის ინფიცირება; 4) სიმსივნის ჩაზრდა ირგვლივმდებარე ორგანოებში და ქსოვილებში; 5) სიმსივნის ჩაჭედა

- *ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3,4,5.

75. კუჭის კიბოთი დაავადების რისკის მქონე პირებს ყოველწლიურად უნდა ჩაუტარდეს

- ა) კუჭის რენტგენური გამოკვლევა;
- ბ) კუჭის სერეციის გამოკვლევა;
- *გ) კუჭის ენდოსკოპიური გამოკვლევა;
- დ) სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობის გამოკვლევა;
- ე) განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე.

76. კუჭის კიბოს მეტასტაზირების გზაა:

- ა) ლიმფოგენური;
- ბ) ჰემატოგენური;
- გ) იმპლანტაციური;
- დ) არცერთი ჩამოთვლილი;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

77. მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს მეტასტაზები უფრო ხშირად გვხვდება

- ა) ძვლებში;
- ბ) ფილტვებში;
- გ) პანკრეასში;
- *დ) ღვიძლში;
- ე) ხერხემალში.

78. მსხვილი ნაწლავის სიმსივნის კლინიკური ფორმებია:

- ა) გოქსიკო-ანემიური;
- ბ) დისპეფსიური;
- გ) ობტურაციული;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი;
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი.

79. მსხვილი ნაწლავის მარჯვენამხრივი სიმსივნისთვის რომელი კლინიკური ფორმაა უფრო დამახასიათებელი

- *ა) გოქსიკო-ანემიური;
- ბ) დისპეფსიური;
- გ) ობტურაციული;
- დ) ყველა ჩამოთვლილი;
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი.

80. მსხვილი ნაწლავის მარცხენა ნახევრის სიმსივნისათვის რომელი კლინიკური ფორმაა უფრო დამახასიათებელი;

- ა) გოქსიკო-ანემიური;
- ბ) დისპეფსიური;
- *გ) ობტურაციული;
- დ) ყველა ჩამოთვლილი;
- ე) არც ერთი ჩამოთვლილი.

81. სწორი ნაწლავის კიბოსწინარე დაავადებებს მიეკუთვნება: 1) პოლიპები; 2) არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი; 3) კრონის დაავადება; 4) ქრონიკული პარაპროქტიტი; 5) ბუასილი

- *ა) 1,2,3,4,5;

- ბ) 1,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 1,4.

82. ჰისტოლოგიური შენების მიხედვით არჩევენ ნაწლავის კიბოს შემდეგ ფორმებს: 1) ალენოკარცინომა; 2) ლორწოვანი კიბო; 3) სოლიდური კიბო; 4) ფიბროზული კიბო; 5) მსხვილუჯრელოვანი კიბო.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3,4;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

83. ყველაზე ხშირად სწორ ნაწლავში გვხვდება კიბოს შემდეგი ჰისტოლოგიური ფორმება:

- ა) ლორწოვანი კიბო;
- *ბ) ალენოკარცინომა;
- გ) სოლიდური კიბო;
- დ) ფიბროზული კიბო;
- ე) ბრტყელუჯრელოვანი კიბო.

84. სწორი ნაწლავის კიბო წარმოიშობა

- *ა) ლორწოვან გარსში;
- ბ) ლორწოვანის ქვეშ;
- გ) კუნთოვან შრეში;
- დ) სუბსეროზულად;

85. სწორი ნაწლავის ჰემატოგენური მეტასტაზები უფრო ხშირად ვითარდება

- ა) ფილგვებში;
- ბ) პლევრაში;
- გ) ძვლებში;
- *დ) ღვიძლში;
- ე) ხერხემალში.

86. პანკრეასის ულცეროგენურ აღენომას ახასიათებს: 1) სიმსივნის უჯრედებიდან გასვრინის პროლექცია; 2) 60%-ში გასვრინომა ავთვისებიანია; 3) 50%-ში გასვრინომა შეუღლებულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აღენომატოზთან; 4) სიმსივნე გამოდის პანკრეასის ჯირკვლოვანი აპარატის უჯრედებიდან; 5) კლინიკური სურათი ხასიათდება მელორი-ვეისის სინდრომით.

- ა) 1,2,3,4,5;
- *ბ) 1,2,3;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

87. პანკრეასის კიბოს კლინიკას ახასიათებს: 1) სისუსტე; 2) ლისპექსიური მოშლილობები; 3) ფაღარათი; 4) ტკივილი მუცელში; 5) სიყვითლე.

- *ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 1,2,3;
- გ) 1,2,3;
- დ) 2,3,4,5;
- ე) 2,4,5.

88. კურვაზიუს სინდრომი პანკრეასის კიბოს შემთხვევაში ვითარდება

- ა) სპლენომეგალიის დროს;
- ბ) მზის წნულზე სიმსივნის ზეწოლის დროს;
- *გ) სიმსივნის პანკრეასის თავში ლოკალიზაციის დროს;
- დ) სიმსივნის პანკრეასის სხეულში ლოკალიზაციის დროს;
- ე) სიმსივნის პანკრეასის კუდის მიდამოში ლოკალიზაციის დროს.

89. პანკრეასის კიბოს დროს: 1) ქვეითდება ფერმენტების კონცენტრაცია ლუოლენუმის შიგთავსში; 2) ვითარდება კრეატორეა; 3) ვითარდება სტეატორეა; 4) 30-40%-ში აღინიშნება ჰიპერგლიკემია; 5) მოსალოდნელია გლუკომურია.

- *ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3
- გ) 1,2,3
- დ) 2,3,4,5
- ე) 2,4,5

90. პანკრეასის კიბოს დროს გოგალური პანკრეატოლუდენექტომიის შემთხვევაში შეიძლება ამოღებული იქნეს: 1) მთელი ჯირკვალი; 2) 12 გოჯა ნაწლავი მთლიანად; 3) კუჭის ანტრალური ნაწილი; 4) ნაღვლის საერთო სადინარის დისგალური ნაწილი; 5) ელენთა.

- *ა) 1,2,3,4,5

- ბ) 2,3,4,5
- გ) 1,2,4
- დ) 1,4,5
- ე) 1,2,3,5

91. რომელი სიმსივნის დროს ჩამოთვლილთაგან მოსალოდნელია სიმსივნესთან ასოცირებული ერთთროციტოზის (ტუმორო-რითროციტოზული სინდრომის) განვითარება?

- ა) კუჭის კიბო;
- *ბ) ჰეპატო-ცელულარული კარცინომა;
- გ) მსხვილი ნაწლავის ადენოკარცინომა;
- დ) საყლაპავის კიბო;
- ე) ვერნერ-მორისონის სინდრომი.

92. რომელი მეთოდი ითვლება ყველაზე ინფორმატიულად ღვიძლში მეტასტაზების გამოსავლენად?

- ა) ჩვეულებრივი ულტრაბგერითი სკანირება;
- *ბ) ინტრაოპერაციული ულტრაბგერითი სკანირება;
- გ) მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია;
- დ) უკონტრასტო კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ე) კომპიუტერული არტერიული პორტოგრაფია.

93. რა ტიპის ჰეპატო-ცელულარული კარცინომა არ გვხვდება პრაქტიკულად?

- ა) დიდი ზომის სოლიტარული;
- ბ) მულტიფოკალური-ერთი დიდი კვანძითა და რამდენიმე ნაკლები სიდიდის წარმონაქმნით;
- გ) დიფუზურად ინფილტრირებული;
- *დ) წყვილკეროვან-დისემინირებული;

94. ჰეპატო-ცელულარული კარცინომის ყველაზე ხშირი წინაპირობაა?

- *ა) ციროზი;
- ბ) ჰემოქრომატოზი;
- გ) ვილსონის დაავადება;
- დ) ნალელ-კენჭოვანი დაავადება;
- ე) არაალკოჰოლური სტეატოჰეპატოზი.

95. ციროზის შემდეგ რომელი დაავადება ითვლება ჰეპატო-ცელულარული კარცინომის ყველაზე ხშირ წინაპირობად?

- ა) ექინოკოკოზი;
- *ბ) ჰემოქრომატოზი;
- გ) ვილსონის დაავადება;
- დ) ნალელ-კენჭოვანი დაავადება;
- ე) არაალკოჰოლური სტეატოჰეპატოზი.

96. უპირატესად რა ასაკში გვხვდება ღვიძლის ჯანმრთელი ქსოვილიდან განვითარებული ე.წ. ფიბრობლასტური ჰეპატო-ცელულარული კარცინომა?

- ა) ახალშობილებში;
- ბ) ბავშვებში;
- *გ) ახალგაზრდებში;
- დ) ზრდასრულებში;
- ე) ხანდაზმულებში.

97. რომელია ღვიძლის ყველაზე ხშირი კეთილთვისებიანი სიმსივნე?

- *ა) კავერნოზული ჰემანგიომა;
- ბ) ჰეპატო-ცელულარული ადენომა;
- გ) ფოკალური კვანძოვანი ჰიპერპლაზია;
- დ) ყველა თანაბრად.

98. ღვიძლის რომელი კეთილთვისებიანი სიმსივნე გამოირჩევა მალიგნიზაციისკენ მიდრეკილებით?

- ა) კავერნოზული ჰემანგიომა;
- *ბ) ჰეპატო-ცელულარული ადენომა;
- გ) ფოკალური კვანძოვანი ჰიპერპლაზია;
- დ) ყველა თანაბრად.

99. ჰეპატოცელულარული კარცინომის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) B ჰეპატიტი;
- *ბ) ღვიძლის ციროზი;
- გ) ჰემოქრომატოზი;
- დ) ალკოჰოლიზმი;
- ე) ანაბოლური სტეროიდებისა და ესტროგენების ხანგრძლივი ხმარება

100. ჰეპატოცელულარული კარცინომის სადიაგნოზო საუკეთესო ტუმორული მარკერია:

- ა) ქორიონული გონალოგროპინი;
- *ბ) ალფა-ფეტოპროტეინი;
- გ) კარცინოემბრიონული ანტიგენი;
- დ) ტუტე ფოსფატაზა;
- ე) S - 100 ანტიგენი.

101. ჩამოთვლილთაგან რომელ აპულომებს ახასიათებთ ღიარეა? 1) კარცინოილებს, 2) ინსულინომას, 3) ვიპომას, 4) სომატოსტაგინომას, 5) გასტრინომას

- ა) 1,2,5;
- *ბ) 1,3,4;
- გ) 1,3,5;
- დ) 1,2,3,4,5;
- ე) 3,4,5.

102. ჩამოთვლილთაგან რომელი აპულომები იწვევენ კუჭის 12-გოჯა ნაწლავის და მღივი ნაწლავის სიმპტომბგურ წყლულებს? 1) გლუკაგონობა, 2) გასტრინობა, 3) G უჯრელებიდან, 3) კარცინოილები, 4) სომატოსტაგინობა, 5) გასტრინობა ინსულარულ უჯრელებიდან

- ა) 1,2,3;
- ბ) 1,2,4;
- გ) 1,2,5;
- დ) 2,3,5;
- *ე) 2,5.

103. პანკრეასის რომელი აპულომების დროს ვითარდება პანკრეატოგენური ქოლერა (ვერნერ-მორისონის სინდრომი)? 1) ინსულინომის, 2) გლუკაგონომის, 3) სომატოსტაგინომის, 4) გასტრინომის, 5) ვიპომის

- ა) 1,2,5;
- ბ) 2;
- გ) 2,3,4;
- დ) 3;
- *ე) 5.

104. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშნებით განსხვავდება გასტრინობა G უჯრელებიდან გასტრინომისაგან ინსულარული უჯრელებიდან? 1) წყლულების ლოკალიზაციით, 2) ჰიპერგასტრინემიის ხარისხით, 3) სიმსივნის ლოკალიზაციით, 4) ავთვისებიანობით, 5) არეაქტიულობით სეკრეციის მიმართ

- ა) 1,2;
- ბ) 1,5;
- გ) 2,3;
- *დ) 3,5;
- ე) 4,5;

105. საჭმლის მომხელელები სისტემის რომელ ორგანოებშია მოსალოდნელი კარცინოიდის განვითარება? 1) საყლაპავში, 2) კუჭში, 3) ნაღვლის ბუშტში, 4) პანკრეასში, 5) ნაწლავებში

- *ა) 1,2,3,4,5;
- ბ) 2,3,4,5;
- გ) 2,5;
- დ) 4;
- ე) 5.

106. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რა დონეზეა მოსალოდნელი კარცინოიდის განვითარება? 1) კუჭის, 2) 12-გოჯა ნაწლავის, 3) მღივი ნაწლავის, 4) ჭია ნაწლავის, 5) სწორი ნაწლავის.

- ა) 1;
- ბ) 3,4;
- გ) 3,4,5;
- დ) 4,5;
- *ე) 1,2,3,4,5.

107. ჩამოთვლილთაგან სად არის მოსალოდნელი კარცინოიდის განვითარება? 1) ხახაში, 2) ლიმფურ ჯირკვალში, 3) მეკელის ღვივრტიკულში, 4) ელენთაში, 5) შარდსაღინარში

- ა) 1,2,3,4,5.
- ბ) 1,2,3,4;
- *გ) 1,3,5;
- დ) 1,2,3;
- ე) 4.

108. ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან რომლებია კარცინოიდური სინდრომის მედიატორები? 1) სეროტონინი, 2) ბრადიკინინი, 3) ჰისტამინი, 4) სომატოსტაგინი, 5) პროსტაგლანდინი

- ა) 1,2;
- ბ) 1,2,3;
- გ) 1,2,4;

- *ა) 1,2,3,5;
- ე) 1,2,3,4,5.

109. რომელი სიმპტომები შეადგენენ კარცინოიდულ სინდრომს? 1) გულისრევა პირღებინებით, 2) მელენა, 3) დიარეა, 4) სახისა და განის ჰიპერემია, 5) ბრონქოსპაზმი

- ა) 1,3,4;
- ბ) 2,3,4;
- გ) 2,3,4,5;
- *დ) 3,4,5;
- ე) 4,5.

110. მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიის რომელი ტიპისთვისაა დამახასიათებელი პანკრეასის ენდოკრინული სიმსივნეები? 1) მენ-1, 2) მენ-2ა, 3) მენ-2ბ

- *ა) 1;
- ბ) 2;
- გ) 3;
- დ) 2,3;
- ე) 1,2,3.

111. როგორი პოლიპები შესდგება კუჭის ჰიპერპლაზიური ჯირკვლებისგან?

- ა) ალენომატომური;
- *ბ) ჰიპერპლასტიური;
- გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური.

112. როგორი პოლიპები შესდგება კუჭში ნორმალურად არსებული დისპლასტიური ეპითელისგან?

- *ა) ალენომატომური;
- ბ) ჰიპერპლასტიური;
- გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური.

113. რომელი პოლიპები შესდგება ჯირკლოვანი ეპითელით გარშემორტყმული გლუკუკუნთოვანი ბოჭკოებისგან?

- ა) ალენომატომური;
- ბ) ჰიპერპლასტიური;
- გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური;
- *ე) ჰამარტომური.

114. კუჭის რომელი პოლიპს აქვს ავთვისებიანად გადაგვარების ყველაზე მაღალი პოტენციალი?

- *ა) ალენომატომური;
- ბ) ჰიპერპლასტიური;
- გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური;
- ე) ჰამარტომური.

115. კუჭის რომელი პოლიპია გათანაბრებული ნორმასთან?

- ა) ალენომატომური;
- ბ) ჰიპერპლასტიური;
- *გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური;
- ე) ჰამარტომური.

116. კუჭის რომელი პოლიპის მოკვეთის შემდეგ მიზანშეწონილად ითვლება პერიოდული ენდოსკოპიური გამოკვლევის ჩატარება?

- *ა) ალენომატომური;
- ბ) ჰიპერპლასტიური;
- გ) კუჭის ფსკერის ჯირკლოვანი;
- დ) ჰამარტომური;
- ე) ჰამარტომური.

117. რომელი მოსაზრებაა არასწორი ჰამარტომის შესახებ?

- ა) წარმოადგენს ნორმალური ქსოვილის არანორმალურად ჭარბ ზრდას;
- ბ) წარმოადგენს ნორმალურ ქსოვილის ჭარბ ზრდას უჩვეულო ადგილზე;
- გ) მსხვილი ნაწლავების იმთლირებულ ჰამარტომულ პოლიპებს არა აქვთ ავთვისებიანობის პოტენციალი;
- დ) მრავლობითი ჰამარტომული პოლიპებით დაავადებულებში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კიბოს განვითარების შემთხვევებიცაა ცნობილი;
- ე) პეიტც-ეგერსის სინდრომის დროს ჰამარტომული პოლიპები ყოველთვის ჩნდება კუჭში.

118. მსხვილი ნაწლავის ალენომისა და კიბოს განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია

- ა) ბოჭკოებით ღარიბი დიეტა;
- ბ) ცხიმით მდიდარი დიეტა;
- გ) შემწვარი ხორცის ხშირი ჭამა;
- დ) თამბაქოს წევა;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

119. რომელი მოსაზრებაა არასწორი წვრილი ნაწლავის პოლიპების შესახებ?

- *ა) ერთეული პოლიპები გვხვდება გაცილებით ხშირად, ვიდრე მრავლობითი;
- ბ) ერთეული პოლიპი ყოველთვის ბალებს ეჭვს მის ავთვისებიანობაზე;
- გ) პოლიპის ლოკალიზაცია ყოველთვის დადგენილი უნდა იყოს ოპერაციამდე;
- დ) პოლიპის ფორმა შეიძლება ჰქონდეს მელანომისა და ფილგვის კიბოს მეგასგამებს;
- ე) ყველა მოსაზრება სწორია.

120. მსხვილი ნაწლავის რა სახის პოლიპს აქვს კოლორექტალურ კიბოდ გადაქცევის ყველაზე მეტი პოტენციალი?

- ა) მეტაპლასტიკურს;
- *ბ) აღენომატოზურს;
- გ) ანთებითს;
- დ) ჰამარტომულს;
- ე) ნეიროფიბროზლასტომას.

121. რომელია ღვიძლის ყველაზე გავარცელებული კეთილთვისებიანი სიმსივნე?

- *ა) კავერნოზული ჰემანგიომა;
- ბ) ჰემანგიური ჰემანგიომა;
- გ) ფიბრომა;
- დ) ლეიომიომა;
- ე) ლიპომა.

122. რომელი მოსაზრება ღვიძლის აღენომის შესახებ არის სწორი?

- ა) ძირითადად გვხვდება მამაკაცებში;
- *ბ) უხშირესად დაკავშირებული პერორალური კონტრაცეპტივების მიღებასთან და ანაბოლური სტეროიდული ჰორმონების მიღებასთან;
- გ) ახასიათებს ფიბროზული ტიხარები;
- დ) მდიდარია კუპფერის უჯრედებით;
- ე) აღინიშნება ღივი ზომის ჰეპატოციტების შრეობრივი განლაგება.

123. რითი არ განსხვავდება ალგილობრივი კვანძოვანი ჰიპერპლაზია ღვიძლის აღენომისგან?

- *ა) უპირატესად ვლინდება ქალებში;
- ბ) მცირე ზომით;
- გ) არ იძლევა სისხლდენას;
- დ) არ ახასიათებს ნახეთქები;
- ე) არ ახასიათებს მალიგნიზაცია.

124. რომელი მოსაზრება ღვიძლის ჰემანგიომის შესახებ არის სწორი?

- ა) გაცილებით ხშირად გვხვდება ქალებში;
- ბ) მამაკაცებში უფრო ღივი ზომისაა;
- გ) ამორჩევითი ღიაგნოსტიკური მეთოდია ღვიძლის ბიოფსია;
- *დ) ღივი ზომის მიღწევისას შეიძლება გახდეს მიზეზი დისემინირებული სისხლძარღვშია შეღებების სინდრომის;
- ე) ღვიძლის ყველაზე იშვიათი სიმსივნეა.

125. კავერნოზული ჰემანგიომის დიაგნოზის დასაბუთებლად შეიძლება საჭირო გახდეს გამოყენება

- ა) რადიოიზოტოპური სკანირების 99მთც –თი ნიშანდებული ერთოროციტების შეყვანით;
- ბ) მაგნიტურ-რეზონანსული სკანირება;
- გ) ბიოფსია;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი;
- ე) არცერთი არ არის საჭირო.

126. ღვიძლის კეთილთვისებიანი სიმსივნეებია ყველა ჩამოთვლილი, გარდა

- ა) კავერნოზული ჰემანგიომის;
- *ბ) ქოლანგიოკარცინომის;
- გ) აღენომის;
- დ) ფოკალური კვანძოვანი ჰიპერპლაზიის;
- ე) ნაღვლის სადინრების აღენომის (ჰამარტომა).

127. რაგომ მოიხსენიებიან ღვიძლის კეთილთვისებიანი სიმსივნეები ინგლისური გერმინით “ინციდენტალა”?

- ა) კეთილთვისებიანობის გამო;
- ბ) გართულებების ხშირი შემთხვევების გამო;
- *გ) მათი აღმოჩენა ძირითადად ხდება შემთხვევით, სხვა მიზნით ჩატარებული სკანირების დროს;
- დ) გარდამავალი პათოლოგიაა;
- ე) მეორეხარისხოვანი პათოლოგიაა.

128. რა გართულებებია მოსალოდნელი დიდი ზომის კავერნოზული ჰემანგიომის შემთხვევაში?

- ა) თრომბოციტების სეკვესტრაცია;
- ბ) სიყვითლე;
- გ) კუჭიდან ევაკუაციის დარღვევა;
- დ) ჰემანგიომის გახეთქვა;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

129. რა არასპეციფიკური სიმპტომებია მოსალოდნელი დიდი ზომის კავერნოზული ჰემანგიომის შემთხვევაში?

- ა) აღრეული დანაყრება;
- ბ) გულისრევა;
- გ) პირღებინება;
- დ) მუცლის ტკივილი;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

130. ღვიძლის რომელი კეთილთვისებიანი სიმსივნის დროს შეიძლება დაისვას საკითხი ქირურგიული ჩარევის შესახებ?

- *ა) კავერნოზული ჰემანგიომის;
- ბ) ადენომის;
- გ) ფოკალური კვანძოვანი ჰიპერპლაზიის;
- დ) ჰამარტომის.

131. რა არის ფუხმძიმობის ყველაზე სერიოზული გართულება საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ

- ა) ღებინება;
- ბ) გასტრო-ემოფაგალური რეფლუქსი;
- გ) პანკრეატიტი;
- დ) ნაღვლ-კენჭოვანი დაავადება;
- *ე) HELLP-სინდრომი და ღვიძლის მწვავე დისკროფია.

132. HELLP-სინდრომი ვლინდება

- ა) ჰემოლიზით;
- ბ) ღვიძლისმიერი ფერმენტების მომატებით;
- გ) თრომბოციტოპენიით;
- დ) პრეეკლამპსიით;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

133. ფუხმძიმობის მესამე ტრიმესტრში მოსალოდნელი გართულებებიდან რომელი ითვლება კლინიკური თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად?

- ა) ნაღვლკენჭოვანი დაავადება;
- *ბ) ქოლესტაზი;
- გ) HELLP-სინდრომი;
- დ) ღვიძლის მწვავე ცხიმოვანი დისკროფია

134. ჩამოთვლილთაგან რომელი სიმპტომი გვხვდება ყველაზე ხშირად შაქრიანი დიაბეტის დროს?

- ა) ლისფაგია;
- ბ) გულისრევა;
- გ) მუცლის ტკივილი;
- *დ) შეკრულობა;
- ე) ღიარება.

135. რა სიხშირით გვხვდება შაქრიანი დიაბეტის დროს გასტრო-ენტერალური სიმპტომები?

- ა) 10 %;
- ბ) 25 %;
- გ) 50 %;
- *დ) 75 %;
- ე) 100%.

136. რომელი პათოგენეზური ფაქტორია ძირითადი დიაბეტის დროს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დისფუნქციის განვითარებაში?

- ა) ჰიპოინსულინემია;
- ბ) ჰიპერგლიკემია;
- გ) მიკროანგიოპათია;
- დ) მეორადი ინფექცია;
- *ე) ვისცერალური ნეიროპათია.

137. კუჭის რა პათოლოგიაა შაქრიანი დიაბეტისთვის დამახასიათებელი?

- ა) ლორწოვანის ატროფია;
- *ბ) პარეზი;
- გ) ტროფიკული წყლულები;
- დ) პილოროსპაზმი;

ე) კიბო.

138. შაქრიანი დიაბეტის დროს განვითარებული ვეგეტატიური ნეიროპათიის გამოვლინებაა

- ა) წყალწყალა ღიარება;
- ბ) ფსევდოობსტრუქცია შეკრულობით და ტკივილით;
- გ) პოსტურალური ჰიპოტენზია;
- *დ) ყველა ჩამოთვლილი;
- ე) არცერთი ჩამოთვლილიდან.

139. შაქრიანი დიაბეტის დროს საყლაპავის რომელი დაზიანებაა ყველაზე უფრო მოსალოდნელი?

- *ა) კანდილოზური ემოფაგია;
- ბ) კუჭ-საყლაპავის რეფლუქსი;
- გ) ახალაზია;
- დ) ტრაქციული დივერტიკულის ჩამოყალიბება;
- ე) პარეზი.

140. შაქრიანი დიაბეტის დროს ქრონიკული ფადარათის მიზეზი შეიძლება იყოს

- ა) პანკრეასის ექსკრეტორული ფუნქციის უკმარისობა;
- ბ) მსხვილი ნაწლავის მოგორიკის დარღვევა;
- გ) ნაწლავის სეკრეტორული აქტივობის დარღვევა;
- დ) ნაღვლის მქავეების შეწოვის დარღვევა;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

141. თირეოტოქსიკოზს არ ახასიათებს

- ა) ფადარათი;
- *ბ) ყაბზობა;
- გ) მუცლის ტკივილი;
- დ) სიყვითლე;
- ე) ყველა ჩამოთვლილი.

142. ჰიპოთირეოზისთვის არ არის დამახასიათებელი

- ა) კუჭიდან ევაკუაციის შეფერხება;
- ბ) ნაწლავის პერისტალტიკის შესუსტება;
- გ) ნაწლავის იშემია;
- დ) ლეფეკაციის გაიშვიათება;
- *ე) პანკრეასის ექსკრეტორული ფუნქციის უკმარისობა.

143. აუტოიმუნური თირეოიდიტი შეიძლება ასოცირებული იყოს

- ა) აუტოიმუნური გასტრიტი;
- ბ) პირველადი ბილიარული ციროზით;
- გ) აუტოიმუნური ქრონიკული ჰეპატიტი;
- *დ) სამივეთი;
- ე) არცერთით.

144. თირეოტოქსიური კრიზით გარდაცვლილთა სექციის დროს ღვიძლში ხშირად აღინიშნება

- ა) ანთების ნიშნები;
- ბ) სტეატოზი;
- გ) ნეკროზი;
- დ) ციროზი;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

145. რომელი ენდოკრინული დაავადების დროს იზრდება კუჭ-ნაწლავის სიმსივნეების გაჩენის რისკი?

- ა) შაქრიანი დიაბეტის;
- ბ) უმჯერო დიაბეტის;
- *გ) აკრომეგალიის;
- დ) კუშინგის დაავადების;
- ე) თირეოტოქსიკოზის.

146. ადისონის დაავადებას ახასიათებს

- ა) ანორექსია;
- ბ) გახლოზა;
- გ) მუცლის ტკივილი;
- *დ) სამივე;
- ე) არცერთი.

147. ფეოქრომოციტომას ახასიათებს

- ა) გახლოზა;
- ბ) მუცლის არალოკალიზებული ტკივილი;

- გ) გულისრევა და პირღებინება;
- დ) შეკრულობა;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

148. სკლეროდერმიას ახასიათებს

- ა) დისფაგია და გამოხატული ემოფაგითი;
- ბ) შეკრულობა;
- გ) ფსევდობსტრუქცია;
- დ) გახლომა;
- *ე) ყველა ჩამოთვლილი.

149. თირკმლების ქრონიკულ უკმარისობას არ ახასიათებს

- ა) ანორექსია;
- ბ) დისპეფსია;
- გ) სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან;
- *დ) ყაბზობა;
- ე) ფაღარათი.

საჭმლის მომწელებელი სისტემის მორფოლოგია

150. რომელი ორგანოებია განლაგებული ღიაფრაგმის თაღის ქვეშ? 1) ღვიძლი, 2) კუჭი, 3) ელენთა, 4) თირკმელები, 5) პანკრეასი.

- ა) 1, 2;
- *ბ) 1, 2, 3;
- გ) 1, 2, 3, 4;
- დ) 1, 2, 3, 4, 5;
- ე) 1, 3.

151. რომელ მიდამოებში არის განთავსებული საჭმლის მომწელებელი ტრაქტი? 1) თავის, 2) კისრის, 3) გულმკერდის, 4) მუცლის, 5) მენჯის.

- *ა) 1, 2, 3, 4, 5;
- ბ) 2, 3, 4, 5;
- გ) 3, 4, 5;
- დ) 4.

152. რა ნაწილებს გამოყოფენ ხახის შემადგენლობაში? 1) ცხვირხახას; 2) პირხახას; 3) ხახის ხორხის ნაწილს; 4) ხახის საყლაპავის ნაწილს.

- ა) 1, 2, 3, 4;
- *ბ) 1, 2, 3;
- გ) 4;
- დ) 3, 4
- ე) 2, 3, 4.

153. რა ნაწილებს არჩევენ საყლაპავის შემადგენლობაში? 1) თავის, 2) კისრის, 3) გულმკერდის, 4) მუცლის

- ა) 1, 2, 3, 4;
- *ბ) 2, 3, 4;
- გ) 3, 4;
- დ) 1, 2, 3;
- ე) 2, 3.

154. საყლაპავის უახლოესი მეზობელი ორგანოებია? 1) ხერხემლის გულმკერდის ნაწილი; 2) ტრაქტა; 3) მსხვილი სისხლძარღვები; 4) მარცხენა წინაგული.

- *ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 4;
- დ) 3, 4
- ე) 2, 3, 4.

155. კუჭის მეზობეული ორგანოებია: 1) ელენთა; 2) პანკრეასი; 3) ღვიძლი; 4) თირკმელები.

- ა) 1, 2, 3, 4;
- *ბ) 1, 2, 3;
- გ) 4;
- დ) 3, 4
- ე) 2, 3, 4.

156. რომელი ორგანოები არ არის დაცული ნეკნებით? 1) ღვიძლი; 2) თირკმელები; 3) ელენთა 4) პანკრეასი.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- *გ) 4;
- დ) 3, 4

ე) 2, 3, 4.

157. რა ორგანოებთან აქვს შეხება ღვიძლს: 1) კუჭის კარდიალურ ნაწილთან; 2) საყლაპავთან; 3) კოლინჯთან; 4) პანკრეასთან; 5) მარცხენა თირკმელთან.

ა) 1, 2, 3, 4, 5;

ბ) 1, 2, 3, 4;

*გ) 1, 2, 3;

დ) 1, 3;

ე) 1, 3, 4.

158. რა ორგანოებთან არა აქვს შეხება ღვიძლს? 1) მარჯვენა თირკმელთან; 2) მარჯვენა თირკმელზედა ჯირკვალთან; 3) 12-გოჯა ნაწლავთან; 4) აორტასთან; 5) ელენთასთან.

ა) 1, 2, 3, 4, 5;

ბ) 2, 3, 4, 5;

გ) 3, 4, 5;

*დ) 4, 5;

ე) 5.

159. ღვიძლის ქვემო ზედაპირს ეხება: 1) კუჭი; 2) 12-გოჯა ნაწლავი; 3) განივი კოლინჯი; 4) მარჯვენა თირკმელი.

*ა) 1, 2, 3, 4;

ბ) 1, 2, 3;

გ) 4;

დ) 3, 4

ე) 2, 3, 4.

160. ღვიძლის ქვემო ზედაპირს ეხება: 1) კუჭი; 2) 12-გოჯა ნაწლავი; 3) განივი კოლინჯი; 4) ნაღვლის ბუშტი.

*ა) 1, 2, 3, 4;

ბ) 1, 2, 3;

გ) 4;

დ) 3, 4

ე) 2, 3, 4.

161. ღვიძლის ქვემო ზედაპირს ეხება: 1) მღივი ნაწლავი; 2) ბრმა ნაწლავი; 3) 12-გოჯა ნაწლავი; 4) განივი კოლინჯი.

ა) 1, 2, 3, 4;

ბ) 1, 2, 3;

გ) 4;

*დ) 3, 4

ე) 2, 3, 4.

162. ნაღვლგამომყოფი სისტემა მოიცავს: 1) ღვიძლის საერთო სადინარს; 2) ნაღვლის ბუშტის სადინარს; 3) ნაღვლის ბუშტს; 4) ნაღვლის საერთო სადინარს.

*ა) 1, 2, 3, 4;

ბ) 1, 2, 3;

გ) 4;

დ) 3, 4

ე) 2, 3, 4.

163. რომელ ორგანოებთანაა პანკრეასი უშუალო შეხებაში? 1) კუჭთან; 2) მარცხენა თირკმელთან; 3) წელის პირველ და მეორე მალის სხეულთან; 4) მღივ ნაწლავთან; 5) ელენთასთან.

*ა) 1, 2, 3, 4, 5;

ბ) 1, 2, 3, 4;

გ) 1, 2, 3;

დ) 2, 3, 4, 5;

ე) 2, 3, 4.

164. რომელი ორგანოები ფარავენ პანკრეასს წინიდან? 1) კუჭის ანტრალური ნაწილი; 2) ღვიძლი; 3) განივი კოლინჯი; 4) 12-გოჯა ნაწლავის დისტალური ნაწილი; 5) პერიტონეუმის პარიეტული ფურცელი.

*ა) 1, 2, 3, 4, 5;

ბ) 2, 3, 4, 5;

გ) 3, 4, 5;

დ) 4, 5;

ე) 5.

165. რომელი ორგანოებია განლაგებული რეგროპერიტონეალურად? 1) მღივი ნაწლავი; 2) თეძოს ნაწლავი; 3) პანკრეასი; 4) თირკმელები; 5) 12-გოჯა ნაწლავის დაღმავალი ნაწილის ქვედა ნახევარი.

ა) 1, 2, 3, 4, 5;

ბ) 2, 3, 4, 5;

*გ) 3, 4, 5;

- დ) 4, 5;
- ე) 4.

166. რომელი ორგანოებია განლაგებული ინგრაპერიტონეალურად? 1) მღვივი ნაწლავი; 2) თეძოს ნაწლავი; 3) განივი კოლინჯი; 4) ქვემო ღრუ ვენა; 5) თირკმელზედა ჯირკვავალი.

- ა) 1, 2, 3, 4, 5;
- ბ) 1, 2, 3, 4;
- *გ) 1, 2, 3;
- დ) 1, 2;
- ე) 3

167. დიდი ბაღეჯონი ჩამოეფინება ქვედა კილიდან 1) კუჭის; 2) პანკრეასის; 3) ლიფრაგმის; 4) განივი კოლინჯის.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- *გ) 4;
- დ) 3, 4
- ე) 2, 3, 4.

168. რომელი ნაწლავებია განლაგებული მენჯის ღრუში? 1) ასწვრივი კოლინჯი; 2) დასწვრივი კოლინჯი; 3) სიგმოიდური კოლინჯი; 4) სწორი ნაწლავი.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 2, 3, 4;
- *გ) 3, 4;
- დ) 3;
- ე) 4.

169. მამაკაცებში სწორი ნაწლავის შემობელი ორგანოებია: 1) ბრმა ნაწლავი; 2) წინამღებარე ჯირკვავალი; 3) სათესლე ბუშტუკები; 4) გავის ძევალი

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 4;
- დ) 3, 4
- *ე) 2, 3, 4.

170. რა სახის ღვრილები არ არსებობს ენის ლორწოვან გარსზე?

- ა) ძაფისებრი;
- ბ) სოკოსებრი;
- გ) შემობლულული;
- *დ) ბოლქვისებრი;
- ე) ფოთოლისებრი.

171. პირის ღრუს რომელი წყვილი ჯირკვლები არ წარმოადგენენ სანერწყვე ჯირკვლებს?

- *ა) ლოყის;
- ბ) ყბაყურა;
- გ) ყბისქვეშა;
- დ) ენისქვეშა.

172. რომელი კედელი არა აქვს ხახას?

- *ა) წინა;
- ბ) უკანა;
- გ) მემოთა;
- დ) მარჯვენა;
- ე) მარცხენა.

173. რა ნაწილი არ არის კუჭში?

- ა) კარდია;
- ბ) ფსკერი;
- გ) სხეული;
- *დ) ბოლქვი;
- ე) ანტრუმი.

174. 12-გოჯა ნაწლავის რა ნაწილში მღებარეობს ფაგერის ღვრილი?

- ა) მელა ჰორიზონტალურ;
- *ბ) დასწვრივ;
- გ) ქვედა ჰორიზონტალურ;
- დ) ასწვრივ.

175. ღვიძლში არჩევენ შემდეგ ნაწილებს, გარდა ერთისა:

- ა) მარჯვენას;
- ბ) მარცხენას;
- გ) კვადრატულს;
- *დ) რომბისებრს;
- ე) კულიან.

176. ღვიძლზე აღინიშნება შემდეგი ჩანაჭდევები, გარდა ერთისა:

- *ა) ღიაფრაგმისთვის;
- ბ) გულისთვის;
- გ) კუჭისთვის;
- დ) მარჯვენა თირკმელისთვის;
- ე) საყლაპავი მილისთვის.

177. სერომუელი გარსი ღვიძლისთვის ქმნის შემდეგ იოგებს, გარდა ერთისა:

- ა) ნამგლისებრს;
- ბ) გვირგვინოვანს;
- გ) სამკუთხა;
- *დ) ღვიძლ-პანკრეასის;
- ე) ღვიძლ თირკმელის.

178. რომელ ორგანოსთან არ არის დაკავშირებული ღვიძლი სერომუელი გარსის იოგებით?

- ა) ღიაფრაგმასთან;
- ბ) კუჭთან;
- გ) 12-გოჯასთან;
- დ) თირკმელთან;
- *ე) განივ კოლინჯთან.

179. რა სახეობის კუნთოვანი გასწვრივი მონრები არ არსებობს მსხვილი ნაწლავის კედელში?

- ა) თავისუფალი;
- *ბ) დაწნული;
- გ) ჯორჯლის;
- დ) ბაღექონის.

180. საჭმლის მომნელებელი გრაქტის რომელი ორგანოს უდიდეს ნაწილს არა აქვს სერომუელი გარსი?

- *ა) საყლაპავის;
- ბ) კუჭის;
- გ) განივი კოლინჯის;
- დ) სიგმოიდური ნაწლავის;
- ე) სწორი ნაწლავის.

181. რომელი ორგანო არ შედის საჭმლის მომნელებელ სისგემაში?

- ა) პირი;
- ბ) ხახა;
- გ) ღვიძლი;
- *დ) ელენთა;
- ე) პანკრეასი.

182. სად არის განლაგებული ბოუგინის სარქველი?

- ა) საყლაპავსა და კუჭის შორის;
- ბ) კუჭსა და 12-გოჯა ნაწლავს შორის;
- გ) ნაღვლის ბუშტის ყელში;
- დ) ფაგერის ღერილში;
- *ე) თედოსა და ბრმა ნაწლავებს შორის.

183. რომელ ორგანოს აქვს ფიბროზული გარსი (გლისონის კაფსულა)?

- *ა) ღვიძლს;
- ბ) ნაღვლის ბუშტს;
- გ) პანკრეასს;
- დ) ჭია ნაწლავს;
- ე) ბრმა ნაწლავს.

184. ჩამოთვლილთაგან რომელი ნიშანია დამახასიათებელი თედოს ნაწლავისთვის?

- ა) აქვს ერთეული სისხლძარღვოვანი თაღები და გრძელი პირდაპირი სისხლძარღვები;
- *ბ) აქვს მრავლობითი სისხლძარღვოვანი თაღები და მოკლე პირდაპირი სისხლძარღვები;
- გ) განლაგებულია მემოგასტრიუმის მარცხენა ნაწილში;
- დ) აქვს ჰორიზონტალური მარყუკები;
- ე) მღივ ნაწლავთან შედარებით აქვს უფრო სქელი კედელი და უფრო ფართე სანათური.

185. რომელ ნაწლავშია ყველაზე მეტი რაოდენობით ლიმფური ფოლიკულების კონგლომერატები (პეიერის ფოლაქები)?

- ა) 12-გოჯა;
- ბ) მლივი;
- *გ) თემოს;
- დ) ბრმა;
- ე) მსხვილ.

186. რომელ ნაწლავს არ აქვს ჯორჯალი?

- ა) მლივი;
- ბ) თემოს;
- *გ) ბრმა;
- დ) ჭიაყელა;
- ე) სიგმოიდურ.

187. რომელ ნაწლავშია სერომული სეკრეტის გამომყოფი ბრუნერის ჯირკვლები?

- *ა) 12-გოჯა;
- ბ) მლივი;
- გ) თემოს;
- დ) ბრმა;
- ე) ჭიაყელა.

188. რომელ ნაწლავშია გამოხერხობები (ჰაუსტრები)?

- ა) 12-გოჯა;
- ბ) მლივი;
- გ) თემოს;
- *დ) მსხვილ.

189. რომელი ორგანოს ლორწოვან გარსში აღინიშნება სვეტების ფორმის გასწვრივი ნაოჭები?

- ა) კუჭის;
- ბ) 12-გოჯა ნაწლავის;
- გ) გასწვრივი კოლინჯის;
- დ) დასწვრივი კოლინჯის;
- *ე) სწორი ნაწლავის.

190. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის რომელი ორგანოები შეიცავენ განივმოლიან კუნთებს? 1) ენა; 2) ხახა; 3) საყლაპავი; 4) სწორი ნაწლავი; 5) ნაღვლის ბუშტი.

- ა) 1, 2, 3, 4, 5;
- *ბ) 1, 2, 3, 4;
- გ) 1, 2, 3;
- დ) 1, 2;
- ე) 1.

191. რომელი გარსები შედიან ხახის კედლის შემადგენლობაში? 1) ლორწოვანი; 2) ლორწოქვეშა; 3) კუნთოვანი; 4) სერომული; 5) შემავარდნოვანი.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 4;
- გ) 1, 3, 4;
- *დ) 1, 3, 5;
- ე) 1, 2, 5.

192. საჭმლის მომნელებელი ტრაქტის რომელი ორგანოების ლორწოვანი გარსია წარმოდგენილი მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმით? 1) პირი; 2) ხახა; 3) საყლაპავი; 4) კუჭი; 5) ნაწლავები.

- ა) 1, 2, 3, 4, 5;
- ბ) 1, 2, 3, 4;
- *გ) 1, 2, 3;
- დ) 1, 2;
- ე) 1.

193. კუჭის რომელ ნაწილებშია პეპსინოგენის გამომყოფი მთავარი უჯრედები? 1) კარდიაში; 2) ფუნდუსში; 3) კორპუსში; 4) ანტრუმში; 5) პილორუსში.

- ა) 1, 2, 3, 4, 5;
- ბ) 1, 2, 3, 4;
- გ) 2, 3, 4;
- დ) 1, 2;
- *ე) 2, 3.

194. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელი ნაწილის ლორწოვანი გარსი არ შეიცავს ხაოებს? 1) კუჭის; 2) მლივი ნაწლავის; 3) თემოს ნაწლავის; 4) ბრმა ნაწლავის; 5) კოლინჯის.

- ა) 1;
- ბ) 2, 3;
- *გ) 1, 4, 5;
- დ) 4, 5;
- ე) 5.

195. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელი ნაწილის ლორწოვანი გარსი შეიცავს G უჯრედებს? 1) კუჭის სხეულს; 2) კუჭის გასავალს; 3) 12-გოჯა ნაწლავს; 4) მღივი ნაწლავს; 5) თექოს ნაწლავს.

- ა) 1, 2;
- *ბ) 2, 3;
- გ) 3, 4;
- დ) 4, 5;
- ე) 1, 2, 3.

196. რომელ ორგანოებშია სომატოსტატინის გამომყოფი D უჯრედები? 1) კუჭში; 2) პანკრეასში; 3) ღვიძლში; 4) ფარისებრ ჯირკვალში; 5) ელენთაში.

- *ა) 1, 2;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 1, 2, 3, 4;
- დ) 1, 2, 3, 4, 5;
- ე) 4.

197. რა ეწოდება საყლაპავის მრავალშრიანი ეპითელის კუჭის ერთშრიან ცილინდრულ ეპითელში მკვეთრი გადასვლის ადგილს?

- ა) სასაზღვრო ხაზი;
- ბ) სასაზღვრო ფირფიტა;
- გ) საყლაპავის ქვედა სფინქტერი;
- დ) კუჭის შესავალი;
- *ე) ძ ხაზი.

198. რამდენჯერ იბრლება ნაწლავების ბელაპირი ლორწოვანი გარსის ნაკეცების, ხაოების და ენგეროციტების მიკროხაოების საშუალებით?

- ა) 10-ჯერ;
- ბ) 100-ჯერ;
- გ) 300-ჯერ;
- *დ) 600-ჯერ;
- ე) 1000-ჯერ.

199. რა წარმონაქმნია წერილ ნაწლავებში ჯაგრისისებრი არშია?

- *ა) ენგეროციტების აპიკალურ ბელაპირზე არსებული მიკროხაოების უწყვეტი რიგი;
- ბ) ხაოებითა და კრიპტებით წარმოდგენილი ლორწოვანი შრე;
- გ) ლორწოვანი გარსის ირგვლივი ნაკეცების რიგით შექმნილი მაკროსტრუქტურა.

200. რომელი გარსი წარმოადგენს საყლაპავის კელის ყველაზე მსხვილ ნაწილს?

- ა) ლორწოვანი;
- ბ) ლორწოქვეშა;
- *გ) კუნთოვანი;
- დ) შემაერთებელქსოვილოვანი.

201. კუჭის რომელი ნაწილის ჯირკვლებშია ყველაზე მეტი რაოდენობით ამომფენი (პარიეტული) უჯრედები?

- ა) კარლის;
- *ბ) ფუნდუსის;
- გ) კორპუსის;
- დ) ანტრუმის;
- ე) პილორუსის.

202. კუჭის რომელი ნაწილის ჯირკვლები არ მოიცავენ ენდოკრინის რეჟიმში ფუნქციონირებად უჯრედებს?

- *ა) კარლის;
- ბ) ფუნდუსის;
- გ) კორპუსის;
- დ) ანტრუმის.

203. საჭმლის მომწელებელი სისტემის რომელი ორგანოს კუნთოვანი გარსი შედგება სამი შრისაგან?

- ა) საყლაპავის;
- *ბ) კუჭის;
- გ) 12-გოჯა ნაწლავის;
- დ) წვრილი ნაწლავის;
- ე) მსხვილი ნაწლავის;
- ვ) ნაღვლის ბუშის.

204. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელ ორგანოშია მილისმაგვარი ჯირკვლები?

- *ა) კუჭში;
- ბ) წერილ ნაწლავში;
- გ) მსხვილ ნაწლავში.

205. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის რომელი ნაწილის ლორწოვანი გარსია წარმოდგენილი კრიპებითა და ხაოებით?

- ა) კუჭის;
- *ბ) წერილი ნაწლავების;
- გ) ბრმა ნაწლავის;
- დ) კოლინჯის;
- ე) სწორი ნაწლავის.

206. ლორწოვანი გარსის რა წარმონაქმნები ბრდიან მრავალჯერადად სწორი ნაწლავების შემწოვ გელაპირს? 1) ნაკეცები; 2) ხაოები, 3) კრიპტები; 4) მიკროხაოები ენტეროციტების აპიკალურ ზედაპირზე.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 2, 4;
- დ) 4;
- *ე) 1, 2, 4.

207. ნაწლავების ეპითელური უჯრედების მემბრანებზე არსებული რომელი სპეციალიზირებული ელემენტებით ხორციელდება წყლისა და ელექტროლიტების აბსორბცია? 1) პორებით (ხვრელებით); 2) არხებით; 3) რეცეპტორებით; 4) იონური ტუმბოთი.

- ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 2, 4;
- დ) 4;
- *ე) 1, 2, 4.

208. მსხვილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის უჯრედებია? 1) კოლონოციტები; 2) ბოკალისებრი უჯრედები; 3) ენტეროენდოკრინული უჯრედები; 4) ღეროვანი უჯრედები.

- *ა) 1, 2, 3, 4;
- ბ) 1, 2, 3;
- გ) 2, 4;
- დ) 4;
- ე) 1, 2, 4.

209. რას წარმოადგენენ რძის სადინრები?

- *ა) წერილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ხაოების შუაგულში განლაგებულ გამომტან ლიმფურ სადინრებს;
- ბ) ხაოების და რეგიონალური ლიმფური ჯირკვლების დამაკავშირებელ სადინრებს;
- გ) ნაწლავების მაგისტრალურ ლიმფურ სადინრებს;
- დ) ჭიაყელა ნაწლავის ლიმფურ სადინრებს;
- ე) მთავალი სახელწოდებაა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლიმფური სადინრების.

210. რა ითვლება ღვიძლის ფუნქციონალურ ერთეულად?

- ა) წილი;
- ბ) სეგმენტი;
- გ) წილაკი;
- *დ) აცინუსი;
- ე) სინუსოიდი.

211. რა ითვლება კლასიკური წარმოდგენით ღვიძლის სტრუქტურულ ერთეულად?

- ა) წილი;
- ბ) სეგმენტი;
- *გ) წილაკი;
- დ) აცინუსი;
- ე) სინუსოიდი.

212. რომელი ელემენტი არ შედის აცინუსის პორტალური არის (პოლუსის) შემადგენლობაში?

